


ბაზრობი

№ 9. იუმორისტ. ჟურნალი



საზარელი ამბავი

ანუ „გახლეჩილი“ გაზეთი.
(იხ. კარიკატურა 1 გვ.)

იმრეთის დედა ქალაქს
ქუთაისად წოდებულსა,
ტილახიანს, ჩაბნელებულს
ქუჩყით მტვერით მოდებულსა.

ბინადრობდენ რაინდები
სილოვანი, „კვირიკ“, „ურო“,
სიტყვით ბუზა, საქმით კუზა
შუბლ მაგარი, თავ ფუტურო.

ხელთა ეპყრათ „იმერეთი“
ქორების და ლანძღვის გულა,
ყველაფერი შიგ ეყარა
ჩვენი ქვეყნის აბდა-უბდა.

მათი კალმის წრიბინითა
ზანზარებდა მთა და ბარი,
ძლიერ მყრალად მაშინ სწერდენ,
როს უქროდათ თავში ქარი.

ოფლს ღვრიდენ და აქრელებდენ
ამა გაზეთს კარგა ხანა,
მაგრამ ერთ დღეს უბადრუკებს
აუვარდათ თავში ფხანა—

და გახლიჩეს „იმერეთი“
გაკვირვებს ეს ქვეყანა;
ჯერ არ ვიცო ამ ზომამდენ
რა მანქანამ მიიყვანა.

ქროლა.

გურული სცენა

ქალების მუსაიფი.

— დილა მშვიდობის თებრონიას!
— ღმერთმა მშვიდობა ნუ დაგაკ-
ლოს ჩემო ღომინიკე.

— თებრონიავ, ქალო ნათელაში
ხარ დაპაიჯებული მელიტონისას?

— კი ვარ მარა, წასვლა შემაძუ-
ლა ნათელაში იმ—პოჩალა ღვდელ-
მა გუმალაურში რომაა... დათვ-
რება, ქალო, მარა რავა თუ იცი,
არაფერს არ გავს. გულში მონისიმი-
სას გიახელი ნათელაში, ვუცადეთ,
ვუყურუყურებ ხუცესს; რავარცხა იყო
ზამლობის დროზე მოვიდა, შევეგე-

ბეთ და ვაკოცეთ ხელეზე და იმან
ქალო ქე არ წამეიწია ტუნჩზე სა-
კოცნელათ, შევებრუნე ტუნჩი მაშ-
ვინათე თვარა კელამ შემარცხვინა
ელანძე, აწი კიდევ ქმარი რომ არ
მყოლოდა იქინეი ვინ ჩიოდა... იმი-
სანაი ღვინის სული მოქირქილობდა
იმ გვაჯალაის პირიდან, რომ კელამ
საზიარებლათ მომაქცია ისე დამილო-
ნა გული; ერთ მანდილოსანს კი
გვარიანათ ჩუღუპროშტა ნიკაპი. თურ-
მე დილიდან მოკიდებული ნათელა-
ში ყოფილა და იქინეი დამთვრალა.

— დათა ხუცესი რომაა თუ იცი,
იმას არ გავნებია ქალო თლათ?!

— ჰო და რა გითხრა კილო: რა-
ვარც მევიდა ქალო ამეიკაპიწა ბუ-
დლუამ და დეიკავა ბაღანაი ქვაბთან.

— ბუდლუაი ვინ იყო?

— ვინ იყო და სევასტიეის ციცი
იაფენაი.

— დასურ?! მერე?

— ჰო და წასდვა იაფენაი ბაღა-
ნათ თუ არა ხელში იმ გამოშტე-
რებულმა ღვდელმა წამუღვლო ბუ-
დლუაინათ ხელი და კელამ ატიკვია
სანათლავეში თავი, შეიქნა სიცილი
და რავარც იყო ეტაკა იაფენას
ხალხი და გამოღლიტეს ხუცესს.

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა, დეილუბა
მისი თავი რაუქნია მაი საშინელი ა!?
მერე არ შესცხვა?

— ქალო სიმთვრალე და სირცხვი-
ლი ერთათ გაგაგონია... იგი არა
იმისანა გეიხობრა იმანაც რომ ვადი-
რია გვეგონა. რავარცხა იყო ბაღა-
ნაი მეინათლა, მარა რაღა მონათვ-
ლა იყო.

— ხა, ხა, ხა, ხა, უი დასწყევლოს
იმის თავი ღმერთმა და გუმბალაუ-
რის ხატმა.

ქროლისი.

გამოდანხილი

(ქიათურისათვის.)

არ დავიჯერე, როს მითხრეს
რომა მუშა მტრობს მუშასო
საუბედუროდ ორივე
საერთო საქმეს ფუშავსო.

(მუშების მტრები იცინის
ამით მათ არ უშავსო)

ურთერთის დასამარცხებლად
ბევრჯელ მიპართეს ძალასო
ორივე მხარე ამისთვის
იხვექავს ხათაბალასო.

მუშების გულში ფათურობს
შავ-ბნელი კაცის ხელიო
გამოცდილია დალატში
იცის ქვემძრომთა ხერელოო.
სურს მისი იყოს ყოველგან
მინდორი მთა და ველიო.
და ამისათვის მუშებსა
მიუძღვნა განსაცდელიო.
მუშებში ძალა თუ ნახა
თითქოს უბეს ჰყავს გველიო
და მაშინ ამუშავდება
მზაკრულად მისი ხელიო.

ფეიქრობდი ვინცხამ იტყუა
მოგონებული ქორია
და სიმართლესთან ტყუილი
თქვეც იცით შორი-შორია.
მუშათ უბანი ბობროქობს
წესი ირღვევა წყობილი
ერთმანეთისა ერთგულნი
ბრძოლაში გამოწრთობილი.
სამტროდ იწვევენ ერთმანეთს
ალარ იციან სირცხვილი
და მტრის ბანაკში კი ამ დროს
ლხინი არის და სიცილი.

მეც ბევრი ვნახე, ლხინობდა
გაიძვერა და ფლიდია—
სადაც წავედი ყოველგან
ამ ვაქებატონებს ვთლიდია.
ცოტა ხნის მერე მომესმა
ერთი იგივე ბრალია.
მაშინ ვსთქვი დაშნაშავენი
რომ გამცნოთ ჩემი ვალია.
ვინც უნდა იყოს რას ვეძებთ
გულს მოუკიდოთ ალია
წავიდეთ მუშებს ჯორჩიოთ
ნუ დაუხუჭავთ თვალია.
თუ რომ ფხიზლათა არ იქნენ
იარეს როგორც მთვრალია
დამარცხდებიან საწყლები
ვაი იმათი ბრალია.

რათ დაივიწყეს წეს-რიგი
 რათ დაიბნელეს გონება
 ამ ნიადაგზე არ ვარგა
 რომც შეიძინონ ქონება,
 მერე კი ვძებნოთ ვინც არი
 მუშების დამქსაქსველია
 საღ დაძვრებიან, რა უნდათ,
 ვით საქათმეში მელია.
 მაგრამა მელას რა უჭირს
 როცა რომ წყალობს მგელია,
 ეროვნულ დროშის მკირავი
 სიმათლის დამთრგუნელია.
 კმარა პირ-და-პირ გამოვთქვათ
 სასირცხო საქმის მქნელია,
 მე თავს არ ვიქებ ამითი
 არც რამ ისეთი ძნელია.

გიორგობიანს ამბობენ
 საბჭოს არ მონებს ყმურადო
 მადლიერი ჰყავს მუშებიც
 რადგან ეყბრობა ძმურადო,
 დიდი აქვს თურმე სურვილი
 იცხოვრონ — მეგობრულადო
 გადაემტერნენ უფროსნი
 და უყურებენ მტრულადო.

მე მისი მოღვაწეობის
 რვეული არ მაქვს სრულია,
 არც ვეძებ, რადგან არა მაქვს
 დრო ისეც დაკარგულია.
 ბევრმა კი მითხრა მუშებში
 სთესაო მტრობა შურია,
 რადგან თქმულება გამართლდა
 პირზე წაუსოთ მურია.
 უთხარით ოხრად დაურჩეს
 ეგ მისი სამსახურია
 ერთს მისცე სხვას რომ წაართო
 დღიური სახრდო პურია
 ასე ჰქმნა საპართალისა
 საიდგან-სადაურია.
 „შტრეიკებებერებს“ კამანდრობს
 კორტი და გაფრინდაშვილი
 ძველებსა ლუკმა წაართო
 უტირა ცოლი და შვილი.
 სასიქადულო ყმაწვილებს
 მხარს უქერს ვარაზაშვილი
 ამ ვაჟბატონთან წყალობით
 მუშის საქმეა აშლილი.

მე იმ ორ ყმაწვილს არ ვიცნობ
 ვარაზაშვილი ვიცია

უმალ რკინის გზის აგენტად
 იყო არ უნდა ფიცია,
 მე ვარო ფედერალისტი
 დახტოდა როგორც კვიცია.
 ყველა ამ პირებს პატრონობს
 დიდის ნაცადი ხელია
 სახელს ვიტყოდი მაგრამა
 არ არის გასამხელია
 დაუკვირდით და მიხვდებით
 ვინც არს სიცრუის თქმელია
 ვინაცა ცდილობს რომ მტერსა
 ჩუმად გამოსჭრას ყელია.

მაგრამა მტრისა მაგიერ
 თვითონვე იჭრის ყელსაო
 რასაც ჩაიდენს სიგლახეს
 ჩუმად აფარებს ხელსაო,
 თვის წრიდგან აგდებს თხებივით
 ჩიჩუა — ქილამქსაო,
 ერთს უპარტიოს ეძახის,
 მეორეს კადეტ წვერსაო.
 რომ ის ამაში არ სტყუა
 იფიცავს კიტას — წვერსაო,
 თუ რომა იმას არ მონებ
 ზურგზე ავადენს მტვერსაო.
 თეთრი ხარ შავად შეგდებავს
 სულ გამოგიცვლის ფერსაო
 ყველგან იმარჯვებს სიცრუით
 ვერ ეტყვი ვერაფერსაო
 მტრისა მთქმელი არა ვარ
 ისედაც წერენ ბევრსაო.

მუშების არე-დარევა
 ამათი გზა-და-ხილია.
 კუკ-მუქის ვაჟბატონებსა
 სიმათლის არ აქვთ რილია
 „სამშობლოს“, გაუმარჯოსო,
 საქმე ფენებზე ჰკილია
 თუ რომა ჩემი არ გჯერათ
 კითხე კიტასთან მილია.

ლამი-ვარ.

მეცხვარეს.

დაუკარ ტებილათ, აალიდინე,
 ასწი, ჩაპბერე კვლავ სალამურსა,
 ქარს გაატანე შავი ფიქრები
 გამხნევდი, მიეც იმედი გულსა.
 მოჰფინე არეს საამო ხმები,
 სოფელს მძინარეს უმღერე ნანა,
 ვით ძილის პირი ჩაურაკაკე
 საგმირო ჰანგი დამღერე თანა.

ამცნე მიდამოს, რომ განთიადი
 შორს აღარ არის, თენდება დილა,
 გაჭკრა წყვდიადი და ოკროს ფერად
 აღმოსავლეთი კვლავ შედლებილა.

ტოროლა ცაში ცელქათ ნავარდობს,
 ჩუხჩუხით მორბის კლდის ნაკადული
 და იაღონი ცისკრისა ჟამზე
 უმღერს სამყაროს ეშხზე მოსული.

ცელქი ნიავი არე, მიდამოს,
 თავზედ ევლება ამაყად დაჭკრის
 და გაფურჩქნული აღისფრად ვარდი
 ტოკავს და წყნარად მის წინ თავსა
 ხრის.

ამცნე ქვეყანას, რომე ბუნება
 მისი მშვენებით შესტრფის განთიადს
 სინათლის სხივი მიწას ეფრქვევა
 და სული სძვრება შემზარავ წყვდიადს.

ასწი, ჩაპბერე, მიუხმატკბილე,
 დრო არის აწი ძილს გაერკვიონ
 შემოუერთდეს ბუნების მეჯლისს
 და სიხარულის ცრემლი აფრქვიონ.

შენც შენებულად ჩაარაკრავე
 არე მიდამოს დაუტკებ სმენა
 და სხვებთან ერთად განთიადის ჟამს
 გამხიარული გულს მიე ღხენა.

გოგია.

ბამლარ ბამლარის-ძმ

ბამლარძმ.

(ანუ ახლა ახლსე ახლპირელი)

თუშნა ბეერი სისხლი დაიდგარა, ბეერ
 კაღამს წვერი წატუდა, ბეერი მუღანი
 ამოაწრუხა, ბეერი ქაღაღად აჭრულდა,
 მაგრამ მანც ჯერაც საზოგადოათ გამოუ-
 რვეველია რა ტომის ხალხს ეკუთვნის
 ახლსპირელი, სომეხია თუ ქართულია.
 ეჭვს გარეშე უფველი კულტურულია
 განვითარებულია ერთი ენდებოდა თავის-
 თვის მიეკუთნებია ახლგაზდა ზოქტი.
 ამიტომაც იყო, რომ ქართველებს და
 სომეხებს დიდი შეტაკება მოუვიდა და
 მრავალი ხალხი დაახრცა. მაგრამ ჯერ
 მანც ვერც ერთი მათგანი ვერ ეღიროსა
 თავისათ გამოეცხადებია ჩვენი ზოქტი.
 ქართველები განძახან, რომ ის ქართვე-
 ლია, რადგან ქართულია ჯდურეს თავის
 ჩანგს, სომეხია კი შირდაშირ ფიზიოლო-
 გიკურ განხრზე ამეარებენ მის სომეხ-
 ბას, ისინი ამტკიცებენ, რომ ახლსპირ-

მიზობრული შარხები



ბ. ახოსპირელი.

ელს დედ-მამა სომეხი ჭკუდა და ამიტომ ისიც სომეხი უნდა გამოხლულიყო. ჩვენის მხრით აუცილებელ საჭიროებათ ვსცნობთ ვადვიაროთ, რომ ახოსპირელი ქართველი პოეტია და უოველი ქართველი ვადლებულია იცოდეს მისი წარმოშობის ისტორია.

თუ სომეხ ისტორიკოსებს დაუფურეთ ახოსპირელი დაიბადა 1485 წელს, ქართველების გამოკვლევით კი დაბადებული უნდა იყოს 1374 წელს კახეთის ერთ ერთ სათავეში. დღემდე გამოურკვეველია

რომელ სოფელში დაიბადა. ამ რამდენიმე წლის წინათ ამ საკითხის შესახებ კახეთში ორ სოფელს ჩხუბი მოუვიდა და საკითხის გადასაჭრელათ იარაღს მიმართეს. მოხდა შეტაკება რასაც შედეგათ მოჰყვა ძლიერ სამწუსარო ამბავი, მოჰყალეს ჩვიდმეტი კაცი, სამი ქალი და შვიდი ბავშვი, დაიჭრა ორმოცი კაცი, ოცდა შვიდი ქალი და ცხრა ბავშვი. ეს იყო და ეს ამის შემდეგ ამ საკითხის შესახებ კრინტი არავის დაუძრავს. როგორც

ამ დღეებში გახეთქება გვაუწყეს ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა უგისრიათ სარკის კაკაბაძეს, ოუსტინე აბულაძეს და მოსე ჭანაშვილს, რომლებიც უგვე შეუდგენ ძველი წიგნების ქექვას. როგორც ნოე ჩხიკვაძის დაბადებაზე, აგრეთვე ახოსპირელის დაბადებაზედ დიდი მარცხი და უბედურება მოხდა, იქნებოდა ნაშუადღევის ოთხი საათი, რომ პაწია ახოსპირელი ამ ქვეყნად წარმოიშვა. უცბათ მზე დაბნულდა, ცა ღვინის ფრად შეიმოსა, მირინაშვილის სარდაფში ოთხმოც ფუთიანი, დიდი რუმბი გასქდა და ღვინის ნაკადულმა შვიდი კაცი დაახრჩო. სულდათის ბაზარში ორ მთვრალ კინტრს შეტაკება მოჰყვოდა და ერთმა მეორეს ცხვირი მოკვნიტა. კახეთიდან მომავალი ღვინის ბოტკებით დატვირთული ურემი გატულდა, ბოტკები დაკორდა და ორი სოფელი დაიღუპა. არა თუ აქ, ახოსპირელის დაბადებამ რუსეთის შტად გუბერნიებზეც კი მოახდინა გავლენა. თუ რუსულ გახეთქებს დაუფურეთ ახოსპირელის დაბადება იყო მიზეზი, რომ კიევის გუბერნიაში სპირტის ქარხნა გადაიწვა და მრავალი ხალხი იმსხვერპლა. რუსეთის სხვა და სხვა ქადაქებში მრავალი მთვრალი ხალხი ქუჩებში დაძინებული გაიყინა. ამ გვართ ამ ორი პოეტის, ნოე ჩხიკვაძის და ახოსპირელის განხენს დიდი მარცხი მოყვა ამ ქვეყნად. ამ გარემოებას იმით ხსნიან ჩვენი მკვლევარნი, რომ ორავე პოეტი რაინდული სულით არიან ადკურნილი დაბადებიდანვე. ახოსპირელი ორი წლის იყო, როცა ეზოში დაიწყო თამაში. ერთ დღეს ეზოდან შორს წასულიყო და ახოსპირათ ჩასძინებოდა, ამ უღარდელ ძილის დროს მას მოეგდინა მისი მუცა და მის პოხი. ერ თავს კვერთხი დაჭკრა. ამ წუთიდან მის თავში დიდი არეულობა მოხდა და ლექსები ნიადვარივით წამოსკდა. გაღვიძებისთანვე აწყო წერა ახოსპირელის ფსევდონიმით. მას აქეთიან ინთხევა ლექსებში, ვითარცა წითელი ღვინო, ახოსპირელის პირიდან. ამ ცოტა ხანში მისი ლექსები პატარა პატარა წიგნაკებათ გამოიცა. შესძლებულია ამ წიგნაკების გამოცემის დროს რამე უბედურება კიდევ მოხდა, მაგრამ შეუმჩნეველი დარჩა. დიდი უბედურება და მრცხი მსოლოდ ამ შემთხ-

გვეგაშა არას მოსალოდნელი, თუ ლექსითა
კრებულის გამოცემას განიძრავს. ასოს-
შირელი ჟურნალის დასაწყისი და ბევრ ლე-
ქსებს წამოანთხეს.

ირეთელი.


მეცხვალს.

ახ, შერცხლო, შერცხლო!
სწრაფთ კუდ მაკრატელს
როგორც უწებულ ფრინველს
გულთ კატრფიან უგელს.

შენ ჭიკჭიკობ, მე ვკანესი
ჭირი ვერ ავიტანე...
ინდოეთში რა ნახე,
ან აქ რა შიოტანე?

თუ ძველ დროს და ძველ საქმეს
უმღერ და კსურს ნაყარდო,
მოწუდი ბარემ ჭიკარსა
და ქვესკნელში ჩაყარდო.

3. ა ძე.



ტელეფონი

—ბოდიშს ვიხდი, ბარიშნა, რომ
ყოველ კვირა გაწუხებ, მარა ასეა სა-
ზოგადო საქმის კეთება.

—ჩემთან სალაპარაკო არ გცა-
ლია? იმე! ღმერთო მომკალი ვისზე
ნაკლები ვარ? აბა თუ შეგიძლია გა-
მიიქუტე მაგ ტელეფონში, ისე ვარ
გამოკვანწული რომ უთუოდ მოგე-
წონები.

—თავი დავანებო? ნომერი? ნო-
მერი კი არა შენთან ლაპარაკი მიწ-
და. ჰო, კარგი, კარგი, ერთი თუ
ხათრი გაქვს უპრაფა მომეცი. ნომე-
რი ჩვიდმეტი და ოცდა ათი. მზათ
არის? გმადლობთ, გმადლობთ.

—ვინა ხარ? უპრაფა? რა გაცინებს?
„გოროდსკოი უპრაფა“ ხარ? დარჩო?
ბიქოს? ვინ დარჩო? რის დარჩო?
სტოროჯი? აი მოგტყდა კისერი.
ვისი სტოროჯი ხარ? უპრაფის? ჰოო,
ავაშენა ღმერთმა. დარჩო? გიცნობ,
გიცნობ გამარჯობა ძამია შენი.
საწყალო დარჩო. შენ უბედურო
აღარ შორდები მაგ უპრაფას? ერთი
თუ გიყვარდე ილიკოს დამიძახე.
ვინ ილიკოს? აი მსხვილ მსხვილი,
მსუქანი, მუცელი მეყასზე დარჩო
დივანოვსავით რომ აქვს წამოხედილი.
წვერ მოპარსული, ლამაზ ლამაზი
ყმაწვილია. სად მსახურებს? იმე? ბი-
ქო სად უნდა მსახურებდეს მაგ თქ-
ვენ დასაწვავ „უპრაფაში“ რომელ
ოტდელენიაში? რას მასხარობ თუ
იცი. რა ადელენიაო? რაფა პრიხო-
დის სკოლა ხომ არ არის ეს
თქვენი უპრაფა. თავს ნუ იგდებ დაუ-
ძახე თქვენი ადელენიების შეარაფერი
ვიცი. გვარი? შენი გვარი და გუ-
ჯაში გაწყდა. გვარი ლაპარტყავა. აი
შენ გაგატყავა ეშმაკებმა. მოიყვანე?
კარგი.

—ილიკო ხათ? ბიქო რაფა გაქირ-
და ასე შენთან ლაპარაკი. დაბერდი
მაგ უპრაფაში და დარჩოც კი არ
გიცნობს. რა? თავი გტკივა? რა ჯან-
დაბა შეგიძვრა მაგ თავში? გუშინ
იქეიფე? სა ჯანდაბაში? „პალას ოტ-
ელში“? ერიპა! გეტყობა რაღაც დი-
დი ამბავი მომხდარა, რომ ასეთ
გოსტინაში გიქეიფო.

—რა? „ბოინის“ ღირექტორს სა-
დილი გაუმრთეთ? ვინ ბოინის? ჰო,
მივხვდი მივხვდი? ჰო, ას ოცი კაცი
იყავით. ხუთ ხუთი მანათი გადაი-

ხადეთ, ბევრი სვით და ბევრი ქამეთ
ბევრი რეჩები თქვით. ბევრი დათვ-
რა? ღირექტორი? მერე? ღირექტ-
ორმა ნიკოლაი ეგორიჩმა გრძელ-
სიტყვა სთქვა? ატირდა? თქვენც
ყველანი ტიროდით? ჰო, მერე? ნუ
მასხარობ ერთი თუ ღმერთი გრწამს
შენმა გაზღამ მართალი თქვი, ბიქო.
იმდენს რაფა იტირებდით რომ, კა-
ცები დამხრჩვალეყოს. იმე! ვერ და-
ვიჯერებ ვერა. იმდენი ცრემლები
დაღვარეთ, რომ ზღვა დააყენეთ
ვინც მოგეტყუილებიოს ის მუთყუ-
ილე. ოცდა რვა კაცი დაიხრჩო?
ილიკო! თუ ძმა ხარ გულს ნუ მო-
მაყვანიებ. აბა რა დასაჯერებელია.
გოსტინის პატრონი სხირტლაძეც
დაიხრჩო? ბიქო? გადვირიე სწორეთ.
თქვე ოჯახ დაქცეულბო რაზე და-
ლუპეთ ამდენი ხალხი რა გაზღუქუ-
ნებდათ? შენ ცურვით გამოდი გა-
რეთ? მადლობა ღმერთს შენ მაინც
რომ გადარჩი. ბიქო, ოცდა რვა კა-
ცი თუ დაიხრჩო ახლა ბევრი ვაკა-
ნსია იქნება მაქ. რა? ყველა ადგი-
ლები დაიჭირეს? ასე მალე? სასადი-
ლოთ რომ მიდიოდით კანდიდატები
უკვე იყვენ ადგილებზე? ბიქო და
მერე რა იცოდენ რომ დაიხრჩებო-
დით? ყოველ შემთხვევაში მზათ არ-
იან? რა? ილიკო! ეი! ხომ არ და-
გეძინა? ვინა ხარ? დარჩო? ილიკო
რა იქნა. დაუძახეს და წავიდა? და-
გესხა თავს ლაფი. რა? მავინებ შე
ასეთ ისეთო, შე უპრაფის ფოშტავ,
თუ მოვედი მაქ ისე დავამარილებ,
რომ მწერმა ვერ ავტლაკოს. ჩამო-
კიდე ახლავე შენი ტრუბა თვარა
დელას გიტირებ.

—უკაცრავათ ბარიშნა, რომ გა-
წუხებ. მომეცი რა მათრახი, ს
რედაქცია. ნომერი? თოთხმეტი და
ორმოცდა ორი. სპასიბა! სპასიბა!

—უჰ! ვინ ოჯახ ქორი ხარ, რა-
ნაირათ რიხინობ! ბიქო რა ჯანდაბა
ხარ? ჰეი! მათრახი“ს რედაქცია
ხარ! იმე! რომელი ხარ? ერთი „მა-
თრახი“ს რედაქტორს დამიძახე. არა
სცალია? სთხოვე ჩემ მაგიერ ერთ
წუთს მოადგას ყური. აბა ჰა ველო-
დები:

— ვინა ბრძანდებით? „მათრახის“ რედაქტორი თეოფილე? უჰ! ძალიან მესიამოვნა, სალამი, ბატონო, სალამი უკაცრავათ, რომ შეგაწუხე. უნდა სიმართლე მოგახსენო, თქვენ ნუ მომიკვდები, ძალიან ბევრს ვიცინი თქვენი ჟურნალით, ყოველკვირა მუცელზე ვსკტები, გვერდების ძვლები ორი დღე მტკივა. ძალიან მადლობელი ვარ ძალიან. მარა ერთი ეს მითხარი, ბატონო თეოფილე, სად არის ეშმაკი, რომ აღარაფერს სწერს?

— რა? ბარი მოირტყა თავში და საავთმყოფოში წვეს? აბა რა დასაჯერებელი ამბავია? სად? საბალოსნო სკოლაში მიწას ბარავდა? მერე და იმ სიმალღეზე როგორ აიქნია ბარი, რომ თავში მოირტყა? ჩქარა კარგათ გახდება? ღმერთმა ქნას. **ბლიკვაძე?** ბლიკვაძე სადღა ჯანაბას არის?

— რა? რაო? არ მესმის? დაუჯერებელი ამბავია. არა ნუ მასხრობთ თუ ღმერთი გწამს. როგორ შეიძლება. ბათუმის სკოლის სახურავზე კრამიტს ასწორებდა, ჩამოვარდა და მოკვდა? ღმერთმა ნუ ქნას რომ ეს მართალი იყოს. ბიჭო და მოსამსახურე არ ყავდათ? რაღა თითონ მიდიოდა სახურავზე. ვაი ჩვენს დღეს რა მესტვირე დავვიკარგავს. აღარც **პიტნას** გამოგონია რამე კარგი ხანია.

— რა? ხა, ხა, ხა, კარგი ერთი თუ ძმა ხარ, ეს როგორ შეიძლება. აბა სად გავგონილა იმოდენა კაცი და ასეთი ამბავი? ცხელ ღომში ხელი უკრავს და დაუწვავსო. ღმერთმა ორი წლის ბაღანას ნუ დამართოს აგი. მარცხენა თუ მარჯვენა? მარჯვენა? დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი. **რუხაძე** რაღას აკეთებს?

— ნამდვილათ მასხარათ მიგდებ. რას ამბობ? რიონში დაიღუპა? ვაი ჩვენ სიბერეს! პატარა ხანს დამაცადე თუ ძმა ხარ „პლატოკს“ ამოვიღებ ცრემლები მომდის. რა უბედურებაა ეს ჩვენ თავს. **ზომლეთელი?** იმასაც ხომ უბედურება რამ არ შეემთხვა?

— რა? არ თქვა! გაჩუმდი! ვერ დავიჯერებ ვერა! ზღვაში დაიხრჩო? მეტი აღარ შემიძლია. ჩამოკიდე შენი ტრუბა. აღარ შემიძლია ლაპარაკი. ტირილის გუნებაზე ვარ. მშვილობით.

ტირიფი.

პატარა ფელეტონი

სიყვარულიც ამას ქვია.

(გაგონილი იგავი)

ერთ ღამე პალს, თვისი ქმარი, ისე ძლიერ შეუყვარდა, რომ თვალს აღარ აშორებდა და მუდმივით გვერდით ჰყავდა. ქმარს რომ სიამოვნებოდა, ის, ვით ნუკრი, მის წინ ხტოდა, ხან კოცნიდა და ხან გულში ჩაკვრით ეაღერებოდა. ქმარს-კი ნორჩი არსებიდან ეს მოსწონდა, ასეც სურდა, მარა იგი გარეგნობით ცოლზე ისე გადიდგულდა, რომ ცოლი მას აღერსით და ტბილის ხმებით გულს უტკბობდა, იგი წყრომით შეხედავდა და საქციელს ცოლს უგმობდა.

ერთხელ ასეთ ცელქობის დროს, მათ დაუდგათ ცუდი ხანა, უცბათ ქმარმა გაიქნია და ცოლს მოხვდა თითზე დანა... და როს შიშით გულ წასული ძირს დაეცა მისი ცოლი, — „ვახ მე! ცოლი მოვკალიო,“ — ქმარი შიშით ანათროლი დაიყვირებს და იმ დანას შიგ ჩაიცემს თავის გულში, და... ამ რიგად განუტყევეს სულსა—ცოლის სიყვარულში!..

ცოლს, კვლავ უფრო შეუყვარდა ამნაირად ტანჯვით მკვდარი და იქ ქონი გააკეთა, სად დამარხეს მისი ქმარი. ქვრივმა, ქმრისა სასაფლაოვო ისე გააბალი-ბაღია, რომ ამ ქალის მაგალითზე, ყველა მნახველს თვალი დარჩას..

ერთ დღეს, ვნახოთ, ვილაც მკვდარი, მოასვენეს აქვე ველად,

ჩამოჰკიდეს ხის ტოტზე და დაუყენეს კაცი მცველად. (სამ დღის შემდეგ დამარხავდენ თურმე წესი იყო ძველად.)
შვალამზე მცველს შესცივდა, რადგან ძლიერ ქროდა ქარი და იმ ქვრივის ქოხს მიადგა— სთხოვა, — გამილეო, — კარი. ქვრივმა, როგორც ღვთის მოყვარემ, აღარ უთხრა იმ მცველს ვარი და რომ ცეცხლზე გამთბარიყო, შემოუშვა შიგ სტუმარი.

და როდესაც მცველმა ქვრივ ქალს, შეხედა და მოეწონა, უთხრა: სთქვიო ჩემო მთვარე, ქმარზე, რათ გაქვს ასე ხსოვნა? იგი მოკვდა... და შენს ალერსს, გარწმუნებ, რომ ველარ გრძნობსო და ამისთვის რაღა წვალობ, დრო ატარო ისა სჯობსო!..

ქალს მოსწონდა ეს სიტყვები და კიდევაც გაეხარა, მარა სდუმდა, რადგან სურდა, რომ სინდისი დაეფარა... და ეს მცველმა, რა შეატყო, რომ ქალს აუღელვა გული, ისარგებლა ამ შემთხვევით და აუწყა სიყვარული... ქვრივი სდუმდა... მცველმა რაკი უარი ვერ გაიგონა, ქალს სუნთქვაც-კი გაუჭირდა, ისე მაგრათ ჩაეკონა... და შემდეგ-კი ორთავ ფიცით, მიუშვირეს ხელი ღმერთსა და დასწყევლეს, რომელიც, რომ უღალატებს ერთმანეთსა!..

როცა მცველი გამოვიდა გარედ, იქვე შეეხარა და სთქვა: კაცმა ენდოს ქალსა, მარტო ფიციკი არ კმარა.. მოდი და ესცდი სხვაფერადაც, სხვა რამ საცდელს გამოვრთავო და თუ იქაც მის სისწორეს დავინახავ, შევირთავო!..

ამისათვის მივიდა მან და ჩამოხსნა ხიდან მკვდარი, გადამალა და იმ ქვრივთან, მორთო მოთქმა საოცარი... უთხრა: ჩემო მშვენიერო, მე, რომ ვცავდი, იმ მკვდრის მძორსო,

ვილაჯებს მოუბარავს,
 შენთან თამაშობის დროსო.
 და რაღა ვქნა!.. რით უშველო,
 წამხდარ სმქეს ასე ძნელსო!..
 ვიცი ტანჯვას ვერ ავცდები,
 მე, საბარლო ხვალინდელსო!..

ქალმა უთხრა: რა გაწუხებს,
 ჩემო მზეო, ამისთვისო,
 ჯერ სხეული ახალია
 სამარეში, ჩემი ქმრისო,
 ამოიღე და დაჰკიდე,
 იმ მკვდრის მაგიორადაო
 და ამით-კი ხალხის თვალში,
 შენ დარჩები სწორადაო!..

—ამას ვერ ვიქმ, უთხრა მცველმა,
 საქმე მეტათ ძნელიაო,
 მკვდრის სამარით ამოღება,
 კვლავ, არც სასურველიაო...
 ამ სიტყვების განაწყენმა
 ქალმა, უცბათ ნიჩაბ-ბარი
 მოიტანა... თავის ხელით,
 ამოთხარა მკვდარი ქმარი
 და მცველს უთხრა: ჰა, წაიღე,
 დროს ნუ ჰკარგავ ნუ აცდენო!..

—არა, ვერ ვიქმ, უთხრა მცველმა,—
 მეგობრები ვიყავთ ჩვენო!..
 აქ-კა ქალი გაუჯავრდა:
 —„სჩანს ვერა ხარ მამაციო,
 საქმე რომ გაუფუჭდება,
 ასე იტყვის ზარმაციო!“
 და მკვდარს ეცა გულ მოსული,
 წაუჭირა თოკი ყელზე,
 მითარია და.. დაჰკიდა,
 მოპარულ მკვდრის ნამყოფ ხეზე.

მცველმა უთხრა: ჩემო მთვარევ,
 ტყვილად რად იტანჯებიო,
 რადგან ვხედავ, ვერ მიშველი,
 ვერც წვალებას ავცდებიო,
 რადგან იმ მკვდარს იმ წაწყმენდილს,
 ჩემი ცოდვით სავსესაო,
 ამ მკვდარს, ვინც უნდა ეცადოს,
 ვერ ვინ დაამგზავსებსაო.
 იმ მკვდარს აკლდა ერთი ფეხი,
 ხელი, ცხვირი, ყურიაო
 და ამისთვის დახსნა ჩემი
 ვიცი რომა ტყვილიაო!..

ქალმა, აქაც გაუჯავრდა:
 რად ხარ აგრე უფიცო!..
 დავიჯერო ვეღარ მორთავ
 ამას და ხარ ტუტუციო?!..

აჰა დანა, მიაჭერი...
 დროს ნუ ჰკარგავ ნუ აცდენო!..
 —ვერა, ვერ ვიქმ, უთხრა მცველმა,—
 მეგობრები ვიყავთ ჩვენო!..

და როდესაც მკვდარ ქმარს ქალმა,
 ხელი, ფეხი, ცხვირი, ყური,
 მოსჭრა.. და ეს მცველმა ნახა
 საქმე მეტათ უცნაური,
 ქალის ასეთ ბოროტებას,
 ვერ გაუძლო მისმა გულმა
 და შესძახა: —შესდეგ ბილწო!
 მით, გონება დაბნეულმა,
 სტაცა ხელი იმ ქალს თმებში,
 სიტყვა-კი არ დააცალა
 და ერთ ხანჯლის შემოქნევით,
 თავი კისერს წააცალა...
 და იყვრა გასაგონად:—
 მოლაღატე ქალი ქმრისო,
 ნურვის გინდა, ნურც ენდობი...
 თორემ ნურვის, ნუ გიკვირსო
 თუ შენ იგი გილაატებს
 ისე, როგორც პირველ ქმარსო,
 რადგან ქალი ცბიერია...
 დღეს შენ გეტრფის... ხვალე სხვასო!..

იგავისთვის მინდოდა, რომ
 ცოტა რამე მომემატა,
 მარა ვშიშობ არ გაჯავრდენ:
 თამრო, ნინო, მართა, მატა,—
 (ესენი რომ ცოცხალ მის ქმრებს
 ყელზე ეცენ, ვით შავგს კატა
 და დახრჩვებს)... მაშ ნუ გიკვირს
 მკვდარს—თუ ცოლმა უღალატა!..
 ირ. გოგოლაძე.

წერილები.

ჯუმათი. (გურია) პროფიზორმა
 აფრიკამ და ზოგმა ინტელიგენტმა
 ადგილობრივ სამკითხველოს ბოიკო-
 ტი გამოუცხადეს, ალბათ შენობის
 სიმციროს გამო.

—ღამ ღამობით აფთიაქის შენო-
 ბაში, აფრიკას მეთაურობით ვარჯი-
 შობა იმართება „ვერტუშკის“ გემო-
 ზე, ხოლო დღისით აფთიაქის პარ-
 მალში „ნარდის“ და „კონჩინას“,
 ახალ ვაზლების გასაწრთვნელათ.

—პროფიზორს და აფთიექის შე-
 ნობის შორის დუელი მოხდა: აფრი-
 კამ გაიმარჯვა: შენობას დაუხიანა

უკანა საფუძველი და პარმალის და-
 რაბი.

უმადური.

ს. საჯევახო.—ზოგიერთი სიმინ-
 დის მქონე „პატიოსანი“ მუშები ჯერ-
 ჯერობით სიმინდს სულაც არ ჰყიდიან
 და უცდიან, რომ, როცა მშვიდრებს
 გაუქირდებათ, მანეთ ნახევარს მაინც
 მოგვცემენ ფუთშიო. რაც შეეხება
 შთავრების დაპირებას სიმინდის გა-
 ჰოგზავნის შესახებ, ეს ჯერ-ჯერობით
 გადადებული ყოფილა, რადგან ჯერ
 ნამდვილი სიმშლით არავინ მომკე-
 დარა თუმცა სასიკვდილოთ ბევრია
 გამზადებული.

—როგორც „საჯევახოს ბანკი“-ს
 ანგარიშებიდან სჩანს, წარსულ
 1913 წ. განმავლობაში ფული არც
 შემოსულა და არც გასულა. ასეთი
 მოღვაწეობისათვის წევრებს წინდაწინ
 გადაწყვეტილი აქვსთ, რომ, თუ გაი-
 სამდე საზოგადო კრება მოხდა, გამ-
 გეობაში და საბჭოში ისევ „ძველე-
 ბი“ აირჩიონ და მთელი წლის მო-
 საგები ჯილდოთ მისცენ მათ.

—როგორც ამოხენ, აბაშის სამი-
 ნისტრო სკოლას, თურმე იმიტომ არ
 უკეთებ სახურავს საზოგადოება, რომ
 მასწავლებელი წულაია ცოლ შეილი-
 ანად ნოტიო ქვეყნის შვილი ყოფილა
 და' თუ ძილში და ღვიძილში ხან-
 დახან თავზე არ დაწვიმა ქერიდან,
 შეიძლება ავნოს და სიცხე გაუჩნდ-
 ესო. უმთავრესად ასეთი აზრი გამოა
 უტანია სკოლის „დებუტანტებს“
 10 წლის გამოცდილების შემდეგ.
 მოწაფეებსაც, როგორც ნორჩ ყანას,
 ისე მოუხდება ხანდახან სკოლაში
 ყუუენა წვიმაო. ასეთ ყურადღები-
 სათვის „დებუტანტები“ ხალხისგან
 „პრიგოვორით“ უკვე წარდგენილი
 ყოფილან ანგურის მენდლებზე მწვა-
 ნე პრასის და ნიორის ლენტებით,
 რასაც ამ გაზაფხულზე უმკველად
 მიიღებენ.

ჯოჯოხეთელი.

სად. მიხაილოვი. მიხაილოვის
 რკინის ვზის დეპოში დაარსდა მუშა-
 თა უფლებების დამცველი ახალი ლი-

ა, სახელად: „ღვინჯილიადა“, როლის დამმარსებლათ და უმთავრეს ინციტორებათ ბრძანდებიან იმავე ებოს ხელოსნები: ილია ღვინჯილია და გიორგი ქუთათელიაძე, ხსენებულ ლივის პროგრამის უმთავრეს სუბს შედგენს დაწესებულ 9 საათის სამუშაო დღის ნორმის შეცვლა და 12 საათის სამუშაო დღის შემოღება. ლივის წევრებათ, თავჯომარებათ და მოღვივითაც ჯერჯერობით ეს ორი პატივცემული ირები ბრძანდებიან და იმედოვნებენ, რომ ახლო მომავალში წევრთა რაოდენობა განდიდდება. მუშები შეუთა კმაყოფილინი. არიან ამ ლივის ხარისხებით და თუ საზოგადო კრებაზე მოწონებულ იქნა პროგრამა, ამობენ 12 საათს კიდევ ორ საათს წაუმატებნო.

კულრაჭა.

უცხო სიტყვების ხსენა.

(იხ. „მათრახი“ № 7.)

არამზადა. კაცი, რომელიც ყველგან ფრიად მიდებულობს, უმეტესად პალალ წრეებში. რომელსაც შეუძლია ყველაფერი ჩაიდინოს და თავის ჩადენილი საქმეები ხალას ოქროდ გაასაღოს.

აბრადინი. ქართული სალამი.

აგარაკი — ის ალთქმის ქვეყანა სადაც შესვლა სასტიკათ აკრძალული აქვს: ქართველ მწერალს, ქართულ მსახიობს და საზოგადო მოღვაწეს. სხვებს კი ყველას ნება აქვს იქ ყოფნის, იქ პატივცემულ სახედარსაც შეუძლია ბალახი მოწიწნოს და გაიკუნტრუშოს.

აქლემი — ერთი ქართველი კეთილშობილი მსახიობი.

აგლეჯა — პოლიციური ენით რომ აეხსნათ ნიშნავს ყურებს, რომლებიც ასაგლეჯათ გამოდგებიან, ჩვეულებრივთ კი ნიშნავს ყველა იმ ნივთს, რომელიც შესაძლებელია ადამიანს ააგლიჯო, მაგალითად: ფული, ფოლაქი, ჯიბე, ქუუა-გონება და სინდისი.

ახიანი — ქალაქი რომელიც ყველას დიდს და პატარას ქუუაზე შლის.

აბრაგიდელი — ჩვენებური გამარჯობა.

ავყია — კაცი, რომელიც მარტში დამუნჯებულია, არც ლაპარაკობს და არც სწერს.

ზ

ბაშმაკი — არის ბაშმაკი ქალის და არის კაცის. ამ ორ ბაშმაკ შორის მხოლოდ პირველს ეღირსა ქართველ პოეტის მიერ ქებათა-ქება. მეორე ბაშმაკი ჯერ ჯერობით მივიწყებულია და ელის თავის პოეტს.

ბარაბანი — რუსეთის მოქალაქის ზურგი.

ბალაგანი — სიტყვა ბალაგანი მრავალ მნიშვნელოვანია. ჩვენ ყველას არ გამოუდგებოთ, აღვნიშნავთ მხოლოდ ამ სიტყვის მნიშვნელობის ორ მხარეს: არის „ბალაგანი“ არისტოკრატიული და დემოკრატიული. — „ახალი კლუბი“, „კრუეოკი“, „სობრანიე“, „არტისტული საზოგადოება“ — აი ბალაგანი არისტოკრატიული. „ნოქართა კლუბი“, „ხარფუხის კლუბი“, „ავლაბრის კლუბი“ — აი ბალაგანი დემოკრატიული.

— ი.

(შემდეგი იქნება)

„მათრახის“ ფოსტა.

ს ა მ ტ რ ე დ ი ა. ნახურისპირელს. თქვენი მესტიურილი ძლიერ მოგვეწონა, უმეტესად პირველი ოთხი სტრიქონი:

„არ მინდა გზა გზა ვიარო ძილ-მოსვენება მჭირია, არც მინდა ვინმეს ვაწყინო რომ მყავდეს უმადურია.“

ჩვენის აზრით, თუ თქვენც თანახმა იქნებით ამ სტრიქონებს ავრე შევცვლით:

არ მინდა ლექსები ვსწერო ხალხს მოსვენება სჭირია, ოდეს პოეტნი გამრავლდენ ქათმებს უჩნდებათ ჭირია.

ს ა დ ლ ა ც — ფრანგს. შევასრულეთ თქვენი თხოვნა და თქვენ გამოაცანას „კალათაში ვუძახეთ“...

ჯ უ მ ა თ ი. სამკითხველოს გააგეს. ფული 2 მანეთი არ მიგვიღია, რადგან აღრესი არ დაგვიწერიათ რიგიანათ. უკანვე დაგიბრუნდებათ. უნდა გამოგზანით ხოლმე თეოდილე ბოლქვანის სახელზე. ჟურნალი გეგზავნებათ.

ქ ი ა თ უ რ ა. კირილეს. თქვენი პასუხი „რუს იმერელს და ანას“ ვარდავეციტ ჟინქარის“ რედაქციას. ჩვენი საქმე არ არის ეს პოლემიკა. ვერ დაგებტავთ.



ლიხ. ი. მ. გურიია ქა. ათაბაგოვს

ო ზ უ რ გ ე თ შ ი ა ხ ლ ა დ მ ო ვ ლ ი ნ ე ბ უ ლ ი გ ე ლ ო ვ ა ნ ი ს ტ ი.